ანი კობახიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დოქტორანტი

ობამას საგარეო პოლიტიკაზე მოქმედი კონცეფციები

შესავალი

საბჭოთა კავშირის ცივ ომში დამარცხების შემდეგ, სამყარო კვლავ უნიპოლარული გახდა. ლიბერალიზმი კი გამარჯვებულ იდეოლოგიად დამკვიდრდა.

მიუხედავად იმისა, რომ ვაშინგტონმა გაიმარჯვა, მსოფლიო განსხვავებული რეალობის წინაშე იდგა: გლობალიზაციამ სამყარო უფრო რთული გახადა; შესაბამისად, მსოფლიოში მიმდინარე ცვალებადი მოვლენები ამერიკის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის კურსის შეცვლას მოითხოვდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის ფედერაცია თანდათან იკრეფდა ძალას; ევროპაც აშკარად ამერიკისგან განსხვავებულ პოზიციას იჭერდა; ამასთან, ჩინეთი, რომელიც მუდამ ძალაუფლების მოხვეჭისაკენ ისწრაფოდა ნელ-ნელა ძლიერდებოდა. მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ტერორიზმი, რომელსაც ამერიკა წლების მანძილზე უშედეგოდ ებრძოდა, აშკარად მოუწოდებდა ვაშინგტონს საგარეო პოლიტიკური კურსის რადიკალურად შეცვლისაკენ.

არსებულ რეალობას წარმატებულად მოერგო ამერიკის პირველი აფრო-ამერიკელი პრეზიდენტის ბარაკ ობამას საგარეო პოლიტიკური სტრატეგია. წინამორბედი პრეზიდენტის მიერ დაშვებული შეცდომების საპირწონედ, პრეზიდენტმა ობამამ ახალი, განსხვავებული და ახალ გამოწვევებზე მორგებული პოლიტიკური პოლიტიკური კურსი აირჩია.

ნაშრომის აქტუალობას სწორედ ის ფაქტი განაპირობებს, რომ ობამას ადმინისტრაციამ საფუძვლიანად შეცვალა ამერიკის საგარეო პოლიტიკური კურსი. ამ ცვლილებების გახორციელებაში კი დიდი როლი ითამაშა „ჭკვიანი ძალის“ სტრატეგიამ, რომელსაც ეფუძნებოდა ობამას ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკა.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომის უპირველესი მიზანია, ობამას პრეზიდენტობის პერიოდში გატარებული პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტის ანალიზის საფუძველზე განვიხილო ობამას ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკა „ჭკვიანი ძალის“ მეცნიერულ ჭრილში.

პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაციის ხედვები და პოზიციები მკვეთრად განსხვავდებოდა ამერიკის წინამორბედი პრეზიდენტების მიერ გატარებული პოლიტიკისაგან, რომელიც, უმეტესად, ხისტი და სამხედრო ინტერვენციისაკენ იყო მიდრეკილი. ობამას პოლიტიკური მრწამსი ლიბერალურ ხასიათს ატარებდა, შესაბამისად, იმდროინდელი აშშ შემწყნარებელი ჰეგემონისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით გამოირჩეოდა.

ობამას საგარეო პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტი მშვიდობის მშენებლობა და ანტიაგრესიულ ქმედებებზე ორიენტირება იყო. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ პრეზიდენტად არჩევიდან რამდენიმე თვეში მან მიიღო ნობელის პრემია მშვიდობის რანგში [1].

პრეზიდენტ ობამას საგარეო პოლიტიკა აქტიური განხილვის საგანს წარმოადგენდა. მრავალი პოლიტიკის მეცნიერი ობამას ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიას „ჭკვიან ძალად“ აღიქვამდა.

საინტერესოა პრეზიდენტ ობამას საგარეო პოლიტიკის განხილვა „ჭკვიანი ძალის“ პოზიციიდან.

ისტორიული პროცესები ცხადყოფს, რომ ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციამ „ფერადი რევოლუციების“ დახმარებით წარმატებით გადაიყვანა პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმრავლესობა ამერიკულ ბანაკში, თუმცა, დემოკრატიზაციის თითქმის ყოველმა მცდელობამ ფიასკო განიცადა, რადგან სერიოზული პრობლემები შეექმნა საქართველოს, უკრაინასა და ყირგიზეთს. ბუშის პოლიტიკა წარუმატებელი აღმოჩნდა ბალკანეთზეც – კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება მრავალი ნეგატიური შედეგის წამახალისებელ პრეცედენტად იქცა [2].

ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ ობამას მეტად რთულ პერიოდში მოუწია პრეზიდენტობა. შესაბამისად,

წინასაარჩევნო კამპანიის მომგებიანი სლოგანი: „ჩვენ გვჯერა ცვლილებების“ ფუნდამენტურად შეცვლიდა ამერიკის როგორც საშინაო, ისე საგარეო პრიორიტეტებს.

ამერიკა „ცივი ომის“ პერიოდში და ომის დასრულების შემდეგ აქტიურად იყენებდა „უხეში ძალისა“ და „რბილი ძალის“ პოლიტიკურ სტრატეგიებს. ერთი მხრივ, ატარებდა დიპლომატიურ პოლიტიკას, ხოლო, მეორე მხრივ, იყენებდა სამხედრო ძალას. მას შემდეგ, რაც ობამა ხელისუფლებაში მოვიდა, ამერიკამ საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის პრიორიტეტები მკვეთრად შეიცვალა. ობამას საგარეო პოლიტიკის სტრატეგიას ცნობილი ანალიტიკოსები „ჭკვიანი ძალის“ კონცეფციის ჭრილში განიხილავდნენ [3, 300-485].

2009 წელს ჰილარი კლინტონმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ობამას ადმინისტრაციის უმთავრეს პრინციპებსა და პრიორიტეტებს განსაზღვრავდა ცნობილი ამერიკელი მეცნიერის, ჯოზეფ ნაის „ჭკვიანი ძალის“ სტრატეგია („smart power“). საერთაშორისო ურთიერთობებში ცნება – „ჭკვიანი ძალა“ ჯოზეფ ნაიმ დაამკვიდრა; „ჭკვიანი ძალის“ მეშვეობით ხდება „უხეში“ და „რბილი“ ძალის კომბინირება ეფექტური და მომგებიანი სტრატეგიის მისაღებად [4].

„ჭკვიან ძალის“ კონცეპტში მოიაზრება დიპლომატიის სტრატეგიული გამოყენება, დარწმუნების უნარისა და სხვა დიპლომატიური შესაძლებლობების განვითარება, ნდობის აღდგენა, ძალისა და გავლენის პროექცია და ამ საშუალებებით გავლენის სფეროების გაფართოება.

„ჭკვიანი ძალის“ სტრატეგია პირველად შემუშავდა 2003 წელს ერაყში ამერიკის სამხედრო ინტერვენციის შემდეგ. ამ სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობა წარმოშვა რამდენიმე ფაქტორმა: 1. ჯორჯ ბუშის ნეოკონსერვატიულმა საგარეო პოლიტიკურმა კურსმა; 2. თითქმის მთელი მსოფლიოს მასშტაბით ჩატარებულმა სოციოლოგიურმა კვლევებმა, რომელმაც ცხადყო, რომ აშშ-ს საერთაშორისო იმიჯი შეილახა და ვაშინგტონის ნდობა დაეცა [5].

ასეთი რთული ვითარებიდან საუკეთესო გამოსავალს ჯოზეფ ნაი „ჭკვიანი ძალის“ სტრატეგიის იმპლემენტაციაში ხედავდა:

„11 სექტემბრის ტერაქტმა ჩვენ ორმაგად დაგვაზარალა: უპირველესად ადამიანებით, ვინც თვითმფრინავების შეჯახებას ემსხვერპლნენ; ასევე შეირყა ვაშინგტონისადმი ნდობა და ერმა დაკარგა ოპტიმიზმი. ძლიერ დაზარალდა ჩვენი ეკონომიკური სისტემა, შესუსტდა ამერიკის, როგორც ლიდერი სახელმწიფოს როლი საერთაშორისო მასშტაბით, მაგრამ თუ ჩვენ შევძლებთ და გარდავიქმნებით „ჭკვიან ძალად“, ჩვენ ყველაფერს დავიბრუნებთ“ [6].

ჯოზეფ ნაის მოსაზრებით, მხოლოდ „უხეში“ ან „რბილი“ ძალის სტრატეგიის გამოყენებით სახელმწიფო ვერ მოიპოვებს დომინანტურ პოზიციას. მეცნიერი ეწინააღმდეგებოდა მაკიაველის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, „სჯობს ეშინოდეთ შენი, ვიდრე უყვარდე“. მეცნიერის პერსპექტივიდან, თანამედროვე ინფორმაციულ ერაში ორივე მათგანს: შიშსაც და სიყვარულსაც „დამსახურებული მოპოვება“ სჭირდება. ბუნებრივია, სამხედრო ინტერვენციით სახელმწიფოს დამარცხება შედარებით იოლია, თუმცა იდეებით ბრძოლა განსაკუთრებით მომგებიანია სახელ-მწიფოსათვის, რადგან სწორედ „რბილი ძალის“ დახმარებით არის შესაძლებელი გრძელვადიანი მშვიდობისა და სტაბილურობის მიღწევა. ზემოაღნიშნული მიზეზების გამო მიიჩნევს ნაი „ჭკვიანი ძალის“ პოლიტიკას აშშ-თვის უნივერსალურ სტრატეგიად.

როგორც უკვე აღინიშნა, „ჭკვიანი ძალა“ წარმოადგენს სტრატეგიას, რომლისთვისაც აუცილებელია ძლიერი შეიარა-ღებული ძალები, მაგრამ, ასევე სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ალიანსებთან და მაღალი დონის ინსტიტუციებთან ადაპტაცია, თავსებადობა და პარტნიორობა, რომელთა დახმარებითაც აშშ-ს პოლიტიკურ ქმედებებს მიენიჭება ლეგიტიმურობა.

ჯოზეფ ნაიმ სხვა ცნობილ მეცნიერებთან ერთად, რომელთაგან გამოვარჩევდი ყოფილ ამერიკელ დიპლომატსა და სახელმწიფო მოხელეს რიჩარდ არმიტიჯს, აშშ-ს ყოფილ სახელმწიფო მდივანს ჰილარი კლინტონს, ადამიანის უფლებათა დამცველს სიუზენ ნოზელსა და სხვებს, ობამას ადმინისტრაციისათვის შეიმუშავეს სტრატეგია, რომელსაც უნდა აღედგინა აშშ-ს სიძლიერე და გავლენა. მეცნიერთა მტკიცებით, „ჭკვიანი ძალის“ მეშვეობით აშშ შეძლებდა „იმედისა და ოპტიმიზმის ექსპორტს შიშს ნაცვლად“ [7].

წინამორბედებისაგან განსხვავებით, ობამას მსოფლიო წესრიგის დამყარების თავისებური ხედვა გააჩნდა. მულტიპოლარული პოლიტიკური პროცესების ფონზე, მისი ადმინისტრაცია გამოთქვამდა მზაობას განემტკიცებინა პარტნიორობა და თანამშრომლობა ისეთ ქვეყნებთან, სადაც მკვეთრადაა გამოკვეთილი გავლენის პოლუსები (რუსეთი, ჩინეთი და ევროპა): „აშშ-ს არ ძალუძს მსოფლიოში მარტო მოქმედება... ამ ქვეყნის ტვირთი მხოლოდ ჩვენმა ჯარისკაცებმა არ უნდა იტვირთონ; არც მხოლოდ ამერიკელებმა უნდა ზიდონ... ამერიკამ უნდა გააძლიეროს თავისი არსებული ალიანსები და საფუძველი ჩაუყაროს ახალ პარტნიორობას“– განაცხადა ობამამ 2010 წელს სამხედრო აკადემიაში (West Point 2010 Cadets) სიტყვით გამოსვლის დროს [8, 27].

მეცნიერ რობერტ კიოჰენის მსგავსად, ობამაც იზიარებს მოსაზრებას, რომ „მშვიდობის მიღწევა შესაძლებელია, მაგრამ არა ავტომატურად... აუცილებელია, საერთაშორისო ინსტიტუტების შექმნა, რაც ნაწილობრივ გლობალიზებულ მსოფლიოში მმართველობას ჩაუყრის მყარ საფუძველს“ [9, 15]. საგარეო პოლიტიკის მულტილატერალური მიდგომების აუცილებლობას ობამას ადმინისტრაცია 2010 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაშიც უსვამს ხაზს: „აშშ აქტიურად უნდა ჩაერთოს საერთაშორისო ინსტიტუტებში და, შესაბამისად, განავითაროს, გააძლიეროს და შეინარჩუნოს თანამშრომლობა; მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს კოლექტიურ ქმედებაზე, რაც მოემსახურება საერთო ინტერესებს [10, 3].

ცხადია, საერთაშორისო ინსტიტუტებში მოიაზრებოდა გაერო და სხვა საერთაშორისო ინსტიტუტები.

მულტილატერალური მოქმედებების გარდაუვალ საჭიროებაზე გაუსვა ხაზი ობამამ გაეროს 70-ე გენერალურ ასამბლეაზეც, სადაც მან ისაუბრა მიმდინარე კონფლიქტებზე და მათი ერთობლივი თანამშრომლობით გადაწყვეტის აუცილებლობაზე: „არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად ძლიერია ამერიკის ეკონომიკა. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ამერიკა მარტო ვერ შეძლებს გადაჭრას მსოფლიო პრობლემები“ [11, 3].

როგორც უკვე არაერთგზის აღვნიშნეთ, ობამას ადმინისტრაცია მოქმედებდა „ჭკვიანი ძალის“ სტრატეგიით, სტრატეგიით, რომელსაც უნდა განემტკიცებინა აშშ-ს ლიდერობა გლობალურ ჭრილში. თუმცა, ეს არ უნდა მომხდარიყო ძლიერ სახელმწიფოებთან კონფრონტაციით, არამედ მათთან თანამშრომლობისა და პარტნიორობის გზით; ბუნებრივია, აღნიშნული მულტილატერალური ქმედებების სტრუქტურას განსაზღვრავდა საერთაშორისო ინსტიტუტები, კოალიციები და ალიანსები [9, 341].

ნათელია, რომ ობამას ზომიერმა საგარეო პოლიტიკამ შესაძლებელი გახადა აშშ-ს საერთაშორისო იმიჯის აღდგენა [12, 97-99].

საინტერესოა ამერიკელი პოლიტიკის მეცნიერის ბრუს ჯენტლესონის მოსაზრება პრეზიდენტ ობამას საგარეო პოლიტიკასთან მიმართებით. ჯენტლესონის აზრით, საგარეო პოლიტიკის მიზნების მიღწევა არც ისეთი ადვილია, როგორც თუკიდიდესეული მაქსიმა ამტკიცებს: „ძლიერნი აკეთებენ იმას, რისი ძალაც შესწევთ, ხოლო სუსტნი ეგუებიან იმას, რასაც უნდა შეეგუონ“. მეცნიერი თვლის, რომ თუკი უხეში ძალის გამოყენებით ხდება დაძაბულობის ან დაპირისპირების ესკალაცია, სასურველი ზეგავლენის მოხდენა კიდევ უფრო გართულდება.

ჯენტლესონის პერსპექტივიდან, ობამას ადმინისტრაციამ ამერიკის გლობალური გავლენისა და რეპუტაციის აღდგენის აუცილებლობას ხაზი გაუსვა არა იმიტომ, რომ ხელისუფლებას კარგად ეგრძნო თავი, არამედ იმიტომ, რომ ამგვარი პრაგმატული მიდგომა გაზრდიდა ამერიკის ძალაუფლებას.

დასკვნა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ჭკვიანი ძალის“ სტრატეგიის უმთავრესი მიზანია პარტნიორობის განმტკიცება და გამყარება. ობამას პოლიტიკური მრწამსიც სწორედ ამ პრინციპზე იყო დაფუძნებული: იგი თვლიდა, რომ არსებობდა რამდენიმე პოლიტიკური ცენტრი და სრულიადაც არ მიაჩნდა ამერიკა ერთადერთ ჰეგემონად მხოლოდ ერთ პოლუსიან მსოფლიოში.

ობამას ადმინისტრაცია მოქმედებდა „ჭკვიანი ძალის“ სტრატეგიით და ცდილობდა ამერიკის ლიდერობის განმტკიცებას არა ძლევამოსილ სახელმწიფოებთან დაპირისპირებით, არამედ მათთან თანამშრომლობის გზით. სწორედ ამიტომაც წარმოადგენდა პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედს დიპლომატიური ურთიერთობების ნორმალიზება ისეთ ზესახელმწიფოებთან, როგორიცაა რუსეთი და ჩინეთი. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ობამას საგარეო პოლიტიკის ასპარეზზე გაცილებით მეტი მარცხია, ვიდრე გამარჯვება. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკა უამრავ დათმობაზე წავიდა რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზებისათვის, მისი ადმინისტრაციის ზომიერმა მიდგომებმა წაახალისა „ისლამური სახელმწიფო“ და გასაქანი მისცა რუსულ ინტერვენციას სირიასა და უკრაინაში. მსგავსი ინერტული საგარეო პოლიტიკური კურსის შედეგია მიგრანტთა კრიზისიც, რომელმაც ევროკავშირის ერთიანობასა და მდგრადობას გარკვეული საფრთხე შეუქმნა.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. Reuters, November 21, 2007, Clinton sharpens attack on Obama's experience, By Kay Henderson
https://www.reuters.com/article/us-usa-politics-democrats-idUSN2063207120071120 (ბოლო ნახვა: 20.05.2022).
2. The Guardian. (2010). Kyrgyzstan: A Russian Revolution? Retreived from https://www.theguardian.com/commentisfree/2010/apr/08/kyrgyzstan-vladimir-putin-barack-obama (ბოლო ნახვა: 01.04.2023).
3. Maud Quessard, Rembrading Soft Power: Assessing Obama’s Smart Power Strategies. Dans Etudes ANGLAISES. 2019/4, Vol. 72.
4. Inter-University Consortium for Political and Social Research (ICPSR).(2008) Campaign Issues and Candidates Positions. Retrieved from: https://www.icpsr.umich.edu/web/instructors/setups2008/campaign-issues.jsp (ბოლო ნახვა: 15.07.2022)

5. ლევან ნასრაშვილი, ბარაკ ობამას საგარეო პოლიტიკა – "ჭკვიანი ძალა" თუ იდეალიზმი, 18 ივნისი, 2010, http://nasrashvili.blogspot.com/2010/06/blog-post.html
6. Joseph S. Nye, 2008, Public Diplomacy and Soft Power. Retrieved from: https://journals.sagepub.com/doi/10.1177/0002716207311699 (ბოლო ნახვა: 20.06.2023)
7. Project Syndicate,Recovering America's Smart Power, Dec 11, 2007. Joseph S Nye. https://www.project-syndicate.org/commentary/recovering-america-s--smart-power?barrier=accesspaylog (ბოლო ნახვა: 20.01.2023).
8. Journal of Social Sciences, 1(1):27-33,2012, Baia IVANEISHVILI. Obama Foreign Policy Doctrine: Preparing America to Succeed in Multipolar World, file:///C:/Users/Admin/Downloads/manager,+27-33.pdf (ბოლო ნახვა: 08.07.2022).
9. ბ. ჯენტლესონ, ამერიკის საგარეო პოლიტიკა – არჩევანის დინამიკა 21-ე საუკუნეში (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), New York, 2015.
10. National Security Strategy, May 2010, https://obamawhitehouse.archives.gov/sites/default/files/rss–viewer/national-security-strategy.pdf (ბოლო ნახვა: 20.07.2022)
11. Kindleberger C., World in depression 1929-1939. University of California Press, 1973.
12. Voices of Mexico. José Luis Valdés-Ugalde* With Frania Duarte. Saving the Homeland: Obama's New Smart Power Security Strategy.

Ani Kobakhidze
Georgian Technical University, Faculty of Law and International Relations Doctoral Student

CONCEPTS INFLUENCING THE FOREIGN POLICY OF THE BARACK OBAMA ADMINISTRATION

Summary

The article studies the foreign policy of the Barack Obama Administration through the concept of Joseph Nye's "smart power" strategy. Analysing a country's foreign policy is very complex, in particular, when it refers to the foreign policy of such a superpower as it is the United States of America.

The article aims at answering the following research questions: What was the concept of "smart power" based on? What impact did the "smart power" strategy have on the Barack Obama Administration foreign policy? Were the intended goals achieved through the usage of "smart power" strategy?

The reader discovers that it is not always beneficial to determine the foreign policy of the country on the basis of only one particular strategy.

This publication examines President Obama's political portrait and emphasizes the fact how the Obama Administration changed US foreign policy.